ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 174

კვირა, 15 აგვისტო, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 174

კვირა, 15 აგვისტო, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ დაცლილია **გომარეთის** სკოლის მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიჰმართოს გამგეობას. მასწავლებელს აქვს ჯამაგირად 360 მან., ბინა და შეშა მზა-მზარეული ექნება. (5—უ.—5)

---

**ტფილისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ მომავალს 1899—1900 სამოსწავლო წელს განმეორებითი ეგზამენები და დამატებითი ეგზამენები დანიშნულია 17 და 18 **აგვისტოსათვის, ხოლო იმათი გამოცდა, ვინც სასწავლებელში აპირობს შესვლას, მოხდება 19, 20 და 21 აგვისტოს.** (5—ნ.—5)

---

**საპატიო მზრუნველი გორის მაზრის საეკკლესიო სამრევლო სკოლებისა** ამითი აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა მოწაფეებისა მომავალ სამოსწავლო წლისათვის **ტირძნისის მეორე-კლასიან სკოლაში** დაიწყება 20 სექტემბრიდგან.

თხოვნებს მიიღებს (1—20 სექტ.) გორის მაზრის საეკკლესიო-სამრევლო სკოლების საპატიო მზრუნველი სტატსკი სოვეტნიკი ივანე დავითის ძე სულხანიშვილი.

ტირძნისის მეორე-კლასიანი სასწავლებელი შესდგება სამ კლასისაგან და ოთხ-განყოფილებიან მოსამზადებელ კლასისაგან. ამ სკოლაში კურს დამთავრებულებს ეძლევათ მოწმობა მასწავლებლობისა სასულიერო უწყების წერა-კითხვის სკოლებში.

სკოლას აქვს პანსიონი, სადაც მოწაფენი იხდიან თვიურ შესანახად 4 მანეთს. (2—უ.—2)

---

კვირას, 22 აგვისტოს, დილის 10 საათზედ, მადათოვის კუნძულზედ მუხრან-ბატონის შენობაში დანიშნულია საზოგადო საგანგებო კრება

## „შრომის“

ხელოსანთა ამხანაგობისა.

საგანი კრებისა არის:

1, განხილვა და დამტკიცება წლიურის ანგარიშებისა.

2, არჩევნები გამგეობის წევრებისა და ზედამხედველ კომიტეტისა.

3) სახელოსნოს გაფართოება.

წევრთ ცალკე მოწვევის ბარათი არ გაეგზავნებათ. (3—120—3)

---

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ბ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გუჯკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница** *Д-ра Навасардіана.*

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(—1—წ).

---

# ახალი ამბავი

*** გერმანიის მეცნიერი დოკტორი ლემანი, რომელიც კარგა ხანს მუშაობდა ვან არარატის მხარეს, უკვე დაბრუნდა ტფილისში. ამ მეცნიერს ვანსა და მისს არემარეში აღმოუჩენია 80-მდე ახალი ლურსმული წარწერა ალაროდიელთა (ურარტთა) ენაზედ. ქართული ენის შესასწავლად ბ-ნმა ლემანმა მიიწვია ბ-ნი მ. ჯანაშვილი. იგი აქ დარჩება კიდევ რამდენსამე ხანს და მერე გაემგზავრება ბერლინს, სადაც წაიკითხავს მოხსენებას თავის მოგზაურობისა და ურარტთა ისტორიის შესახებ.

*** მიწად-მოქმედების სამინისტროს 500 მან. გადაუდვია ამ დღეებში საბოტანიკო ბაღის სანერგეების გასაფართოებლად.

*** კავკასიაში მოყვანილი ჩაი უკვე გასასყიდად გაუტანიათ მოსკოვს. მოსკოველები დიდად თურმე ემადლიერებიან ამ ჩაის გემოს მხრივ

*** ტფილისის ქალაქის საბჭომ 16 მაისს დაადგინა: გაწერილ იქმნას ქ. ტფილისის ტრაქტირებსა და სხვა ამ გვარ დუქნებზედ 1899 წლის საშუალო აქციზად 37,862 მან. და 40 კაპიკი. ეს ფული საბჭოს ვარაუდით 272 ტრაქტირს უნდა გარდაეხადა, ასე რომ თითოეულ დუქანს საშუალო რიცხვით 139 მან. და 20 კაპ. შეხვდებოდა გარდასახდელად. ნამდვილად-კი იმ დუქნების რიცხვი, რომელთაც სატრაქტირო გარდასახადი უნდა გაიღონ, 1899 წ. უდრის 232-ს და ამის გამო საბჭოს-მიერ 5,568 მან. ზედ-მეტად იქმნა გაწერილი.

ტრაქტირებისა და სხვა ასეთ დუქნების პატრონებმა საბჭოს დადგენილება უკანონოდ სცნეს და ამ დღეებში საერთოდ სთხოვეს გუბერნატორს: 1) განგვათავისუფლეთ ზედ მეტ-5,568 მანეთის გარდახდისაგანაო; 2) მომავალში სატრაქტირო გარდასახადის რაოდენობა განსაზღვრულ იქმნას უკვე არსებულ და არა განზრახულ ტრაქტირების რაოდენობის მიხედვითაო, და 3) ეს გარდასახადი გაანაწილოს ტრაქტირების პატრონთა კრებამ, ანუ მათ მიერ არჩეულმა კომისიამაო.

*** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორს ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ აღკვეთილ იქმნას რჩევა-დარიგებისათვის ფულის აღება ცენტრალურ საავადმყოფოში და ორს მის განყოფილებაში, ხარფუხსა და ავლაბარში.

*** ქალაქის გამგეობაში ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ არ გაიცეს ნება-რთვის მოწმობები სხვა-და-სხვა სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა გასახსნელად, ვიდრე სასანიტარო სამკურნალო ზედამხედველები ამ დაწესებულებათა შენობებს გამოსადეგად არა სცნობენ.

*** საავშვო საავადმყოფოს ასაშენებლად ქალაქისათვის უთხოვნიათ 22,000 მანეთის გადადება.

*** საბჭოს მკურნალთაგან შესდგა განსაკუთრებული კომისია სხვა და სხვაგვარ ქარხნების დასათვალიერებლად ტფილისში.

*** ფინანსთა სამინისტრომ საყოველთაო მოწერილობით წინადადება მისცა კავკასიის სახაზინო პალატებს, ცნობები გამოგვიგზავნეთ კავკასიის მცხოვრებზედ დარჩენილ გარასახადთა რაოდენობისა და მათის მოუგროვებლობის მიზეზთა შესახებაო.

*** ტფილისის გუბერნატორის წინადადების გამო, ქალაქის გამგეობამ ცნობები უნდა შეჰკრიბოს ქალაქის მეურნეობის ყველა დარგის მდგომარეობის შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტში წარსადგენად, რომელმაც ეს ცნობები მოითხოვა. მაგრამ რადგან დეპარტამენტს სახალხო ჯანმრთელობისა, განათლებისა და სხვ. შესახებაც მოუთხოვნია დაწვრილებითი ცნობები, ამის გამო ქალაქის გამგეობამ აცნობა საგუბერნიო ადმინისტრაციას, გაგვიჭირდება ამ მოთხოვნილების ასრულება დანიშნულ ვადამდე, ე. ი. 25 აგვისტომდეო.

*** ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში ამ ჟამად იკვლევენ ხელოვნურ მადნეულ წყლებსა და ლუ-

---

# ფელეტონი

**პესსიმიზმი და ოპტიმიზმი ბიოლოგიურ და სოციალურ ნიადაგზედ**

რაკი ჩვენი ცხოვრება სხვა-და-სხვა გარემოების გამო ძლიერ უფერული და უშინაარსოა, ამის გამო ჩვენი მწერლობაც უფერული და უშინაარსო არის და იქნება, თუ იგი თავისს საგნად მარტოდ-მარტო ჩვენს ცხოვრებას გაიხდის. ამისათვის, თუ გვინდა, რომ ჩვენს მწერლობას დაეტყოს მეტი სიცოცხლე, საჭიროა ხელი მოჰკიდოს მან დასავლეთის ლიტერატურას და მეცნიერებას, იმდენად მაინც, რამდენადაც ისინი შეკავშირებულნი იქნებიან ჩვენს ცხოვრებასთან. რაკი ჩვენს ცხოვრებასა და დასავლეთის ცხოვრებას შუა დიდი ზღუდეა აღმართული, რომელიც გამოწვეულია პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობით, რაც ჰბადავს ევროპაში მეცნიერებას, პირველის შეხედვით მკითხველისათვის საუცხოვოა მეცნიერების ზოგიერთის დარგის გადმონერგვა ჩვენის ცხოვრების ნიადაგზედ და მისი ჩვენს ცხოვრებასთან შეერთება, შესისხლ-ხორცება. ამას მკითხველი საზოგადოება ცხადად დაინახავდა საეკონომიო მატერიალიზმით, რომელიც თეორიულად გადმოტანილ იქმნა ამ ბოლო დროს ჩვენში და ზოგიერთ მწერალთათვის სამწერლო მოქმედების დროშად შეიქმნა. კავშირი-კი ეკონომიურ მატერიალიზმს, რომელიც ძლიერ ერთ მხრივაა ზოგიერთ ჩვენ მწერლობისაგან გაგებული, როგორც საზოგადოდ რუსეთშიაც,—ჩვენს ცხოვრებასთან ოდნავ შესამჩნევი აქვს. ამ ნაირად მკითხველს არ უნდა ეუცხოვოს ევროპის რომელისამე მოვლენის ჩვენს მწერლობაში განხილვა, თუ ამ მოვლენას აქვს საფუძველი დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურაში. ამით ცოტად მაინც იბნევა ის ბურუსი, რომლითაც გარემოცულია ჩვენი უშინაარსო ცხოვრება.

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ კაცობრიობის, საზოგადოების ზრდაში შენიშნულია ხან-დასმით წინსვლა ან უკუსვლა (რეგრესი). საზოგადოებაში არის, მაგალითად, გარემოებათა გამოცვლის სურვილი, ან რისამე ახალის გამოგონების საჭიროება. რამოდენიმე წარმომადგენელი საზოგადოებისა მართლაც მიაღწევს ამ გამოგონებამდე ან ცვლილებამდე, რომელშიაც ერთიანად სცვლის საზოგადოების ცხოვრებას, აძლევს მას სიცოცხლეს და ახალს სახეს, მაგრამ ეს სიცოცხლე დროებითია. საზოგადოება ეჩვევა ამ ახალს სახეს ცხოვრებისას, რომელიც ჩავარდება ხოლმე კალაპოტში. ამ ნაირად თვით პროგრესის ძალით შექმნილი ახალი სახე ცხოვრებისა იღებს კონსერვატიულს ხასიათს იმ დრომდე, ვიდრე თვით კალაპოტიდგან გადმოსული ცხოვრება არ მოითხოვს ახალს ცვლილებას.

ამ მხრივ მართლაც საზოგადოების ზრდა, მისი გაჩქარება რომელისამე ცვლილების შემოღების საქმეში, დიდი სიცხოველე ცვლილების შემოღების დროს, ან შემდეგ, რამდენისამე ხნის შემდეგ-კი ჩადგომა ერთფეროვან მდგომარეობაში, ხშირად ძველის კანონების შემოღებაც-კი, ჰგავს იმ ოკეანურს მოვლენას, რომელსაც წინ-ქცევას და უკუ-ქცევას უწოდებენ. საზოგადოების ხანგრძლივი გაჩერება ერთ ნაირს მდგომარეობაში, შემოღებულ ცვლილებათა სიძველე და შეუფერებლობა ცხოვრებასთან ჰქმნის იმ ხანას, რომელიც უნდა შევადაროთ ოკეანეს უკუ-ქცევას. ამ გვარს გარემოებაში ხშირად იბადება უკმაყოფილება აწმყოთი, საზოგადოდ უიმედობა, რომელიც პესსიმიზმის ხასიათს ითვისებს.

ცხოვრების გასაუმჯობესებლად შემოღებული ცვლილებანი იწვევს დიდს სიცხოველეს საზოგადოებაში, კერძო კაცთა შორის საზოგადოება და კერძო კაცნი დიდის იმედით და კმაყოფილებით არიან აღსავსენი. ამ დროს საზოგადოების და კერძო კაცთა სულის მდგომარეობა ოპტიმისტიურია, ყოველ საზოგადოებაში ყოველ დროს შევხვდებით ამ სულიერ ორ მდგომარეობათაგანის რომელისამე მცფობას. ადამიანის სულიერი და ფიზიკური მოქმედება ორ სხვა და-სხვაგვარ სულის მდგომარეობის გავლენის ქვეშ არის და ამ ორ მდგომარეობას ადამიანისას ეძახიან ტანჯვასა და კმაყოფილებას. თვით ადამიანის სულის მდგომარეობა, ჯანმრთელობა, ახალგაზდობა, თავისუფალი მოქმედება, კმაყოფილება ერთის მხრივ, მოხუცებულობა, ავადმყოფობა, უკმაყოფილება და სხვა მეორეს მხრივ დაკავშირებული უნდა იყოს ფიზიოლოგიურ ფუნქციებთან. ცხადია, რომ ადამიანის სულის მდგომარეობაზედ დიდი გავლენა აქვს კუჭის მდგომარეობას, სიმშილს, ან რაიმე ავადმყოფობას. ამისათვის განხილვა პესსიმიზმისა და ოპტიმიზმისა ბიოლოგიურ ნიადაგზედ მართლაც ნამდვილი მეცნიერული განხილვაა, მაგრამ ეს განხილვა მხოლოდ ეხლა იდგამს ფეხს მეცნიერებაში. ადამიანის უბედურობა, უკმაყოფილება—პესსიმიზმი—ხშირად შედეგია მისივე აგებულობის დაზიანებისა. როგორც გვაუწყებენ ცნობილნი ფიზიოლოგნი და ფილოსოფოსნი ადამიანის აგებულობაში ეს დაზიანება მუდამ ხდება. თვით ცხოვრების განსაზღვრის ერთ თვისებას, ანუ ფაქტორს შეადგენს ეს დაზიანება. ბევრნაირად აქვთ განსაზღვრული სიცოცხლე და სიკვდილი მეცნიერთ და ფილოსოფოსთ, მაგრამ ბევრი მათგანი გაუგებარი და მეტაფიზიკურია. უფრო ნამდვილს, ადვილად გასაგებს განსაზღვრას სიცოცხლისასა და სიკვდილისას შევხვდებით მხოლოდ ფიზიოლოგთა ნაწერებში. მათ შორის საუკეთესო ალაგი უკავია დიდებულს ბიშას *). მისის აზრით, სიცოცხლე

*) Recherches sur la vie et la mort.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რომლებსაც ტფილისში ჰყიდიან. ბეგიევის ქარხნის სელტერის წყლის გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ეს წყალი უსუფთაოა თვით ქარხნის უსუფთაობისა და წყლის უყურადღებოდ მომზადების გამო.

*** გორის მაზრის სოფ. არაშენის ოთხს ვენახში ერთის დესეტინის სივრცეზედ აღმოუჩენიათ ფილოქსერა. იმედი აქვთ, რომ შესაძლებელია სხვა ვენახების მორიდება ფილოქსერისაგან და ამ აზრით საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი ს. არაშენში წასულა.

*** ვენახის წამლობა ქუთაისის გუბერნიის თითქმის ყველა სოფელში ვრცელდება. წელს, მაგალითად, ვენახის სამკურნალო მასალების საწყობებიდგან გაყიდულა: შაბიამანი 1,150 ფუთი, ვერმორელის მანქანა 34 ცალი და „Leclaire“-ის ფქვილი—127 კოლოფი. გარდა ამისა, ადგილობრივ სამეურნეო საზოგადოებას მალიან ბევრი სამკურნალო მასალა გაუყიდნია. ვენახები ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში საზოგადოდ კარგ მდგომარეობაში თურმე იმყოფება. არა ნაკლები წარმატება ეტყობა ამერიკულ ვაზის მოვლა-მოშენების გავრცელებას. შორაპნის მაზრაში გლეხებს ამერიკულ ვაზის სანერგეებიც-კი გაუმართავთ ვაზების გასასყიდად. ამ სანერგეებში წელს 67,000-ზედ მეტი ვაზი უმყნიათ. საქარის ამერიკულ ვაზის სანერგეს თავისის მხრით გაუყიდნია ვენახის სამკურნალოდ 1,701 ფუთი შაბიამანი, 40 ფ. გოგირდი და სხ.

*** კახეთიდგან იუწყებიან, რომ იქ პურისა და ქერის მოსავალი წელს ძალიან ნაკლები იყო, ჩალა ბევრი მოსულა, ხორბალი კი—ცოტა. პურიც და ქერიც ძალიან ძვირად თურმე ფასობს. კოდი პური 4 მანეთად იყიდება, ფუთი ქერი-კი—80 კ. ცუდ მდგომარეობაში ყოფილა სიმინდი და შვრიაც. ამავე მიზეზის გამო ყურძნის მოსავალსაც უხეიროს თურმე მოელიან. („კავკ.“).

*** გორის მაზრის სოფ. ახალქალაქიდგან „კავკ.“-ს სწერენ, რომ საგუბერნიო მკურნალის ტ. ს. ქიქოძის მისვლის შემდეგ, იქ ხელმეორედ აღიძრა ლაპარაკი სასოფლო ქსენონის დაარსების შესახებ. ბ-ნს ტ. ს. ქიქოძეს, დაუთანხმებია ერთმანეთთან ადგილობრივი მემამულენი და სოფლის საზოგადოებანი. ამ ჟამად თავგამოდებით თურმე ეძებენ ადგილს ქსენონის ასაგებად, რომლის დაარსებას სულ მოკლე ხანში მოელიან.

*** გაზ. „მშაკს“ ბათუმიდგან ატყობინებენ, რომ ყველა უცხო ქვეყნის გემებს იქ კონსტანტინეპოლიდგან ამბავი მოსვლიათ, რომ ოსმალეთის მთავრობის განკარგულებით არც ერთ მგზავრ სომეხს არ შეუშვებენ ოსმალეთის მიწა-წყალზედ. ოსმალეთის საელჩო ბათუმში პასპორტებს თურმე აღარ აძლევს იმ სომხებსაც კი, რომელთაც მუდმივი ვაჭრობა აქვთ გამართული ოსმალეთის ქალაქებთან. ხოლო ტრაპიზონიდგან ბათუმში მოსული ბერძნები ამბობენ, რომ არც ოსმალეთიდგან აძლევენ სომხებს რუსეთში გამგზავრების ნებასაო.

*** ს. ტყვიავი, (გორის მაზრა). 10 მარიამობისთვეს პირველად ვეღირსეთ აქ სახალხო წარმოდგენას, რომელსაც საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. წარმოადგინეს სცენის მოყვარეთ ი. მ. კორინთელის თაოსნობით ცაგარლის კომედია „ბაიყუში“. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. წმინდა შემოსავალი იყო 42 მ. და 50 კაპ., რომელიც გადასცეს ადგილობრივ მღვდელს ტყვიავის სამრევლო სკოლის სასარგებლოდ. დიდის მადლობის ღირსნი არიან ისინი, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ სასარგებლო საქმეში.

*** სოფ. ტობანიერი, (ქუთაისის მაზრა). ამას წინად აქ შემდეგი უბედურება დატრიალდა: გლეხს ხუციშვილს შეენიშნა, რომ ჭაში გველი ჩასულიყო; მაშინვე ამოეწურა წყალი და შემდეგ ვედრით ცეცხლ-მოკიდებული გოგირდი ჩაეშვა ჭაში და მერმე ჩასულიყო ოჯახის უფროსის შვილი, ცოლ-შვილიანი კაცი, მაგრამ საბრალო იმ წამსვე გოგირდის სუნს დაერჩო; ამოსვლა რომ დაჰგვიანებოდა შვილს, შემდეგ მისი მამა ჩასულიყო, მაგრამ ისიც გაგუდულიყო. ორივენი მკვდარი ამოიყვანეს ჭიდგან.

*** სოფ. საჯავახო, (ქუთ. მაზ.). 9 ამ თვეს აქ შემდეგი უბედურება მოხდა: ერთ ოჯახში ყოფილა ორი ძმა ადეიშვილი; უფროსი ძმა, როგორც ამბობენ, უფრო ნაკლები მუშა ყოფილა, ხოლო უმცროსი-კი—უფრო ერთგული მუშა ოჯახისა. უფროს ძმას ხშირად გამოჰქონდა თურმე ყანიდგან სიმინდი და აჭმევდა ცხენს. ეს მეტად სწყინდა უმცროს ძმას. ამის გამო ერთმანეთთან ჩხუბი მოსვლიათ ძმებს; უმცროსს ძმას ჩხუბის დროს გამოუტანია თოფი და უსროლია უფროსისათვის, რომელიც იქვე მოუკლავს.

ამ საქმის გამო ღ. სამტრედიიდგან მოვიდა პოლიციის ბოქაული მახარაძე და ოქმი შეადგინა.

*** პოლიცმეისტრის ბრძანების მიუხედავად, პოლიციელები ისევ განაგრძობენ მუშტი-კრივსა და ხალხის ცემა-ტყეპას. 13 აგვისტოს, მაგალითად, წყლის პირის ქუჩაზედ, პოლიციელმა ქარქაშიანი ხმალი დაარტყა ერთ მეურმეს, ვითომ იმისათვის, რომ მეურმე მარჯვენივ მხარეს არ ატარებდა ურემს.

## წერილი სოხუმიდგან

სოხუმის ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთა ჯამაგირები, საბჭოს მიერ დანიშნული, ქუთაისის საგუბერნიო საკრებულოსაგან შეცვლილ იქმნა ამ ნაირად: ბუჰგალტერს დაენიშნა წლიურად 700 მან., ერთ უფროს მწერალს—300 მან., ორ უმცროსს მწერალს—480 მან. და ორ მოსამსახურე ბიჭს—360 მან. საბჭოსა და გამგეობისათვის ავეჯებისა და წიგნების შესაძენად—800 მან. მდივნის ჯამაგირის შესახებ არაფერი ცნობები არ არის ჯერ, უნდა ვიფიქროთ, რომ დამტკიცებულ იქმნა საბჭოს მიერ დადგენილი 1200 მან.

ვისაც არ შეხვდებით სოხუმში, ყველა იმას გაიძახის, რომ უწყლობით ვიხრჩებითო. აი ამისი მიზეზი: უწინ, როცა ქალაქში მილებით წყალი გამოუყვანიათ, ბევრს სახლის პატრონს და დაწესებულებათ განუცხადებიათ სურვილი თავიანთ ეზოებში და სახლებში წყლის გაყვანისა თავიანთივე ხარჯით. ამის შესახებ აუღიათ ჯეროვანი ნებართვა, გარდაუხდიათ ქალაქის სასარგებლოდ ფული და აქამდის უსარგებლნიათ როგორც მათ, ისე ახლო-მახლო მცხოვრებ ღარიბ ხალხსაც ამ წყლით. დღეს ქალაქის მოურავმა ყველას დაუკეტა მილები და მოუსპო წყალი და ამ პაპანაქება სიცხეში უწყლოდ დასტოვა ხალხი... ყველა გაკვირვებულია,—რად მოიქცა ასე ბ-ნი ბერენსი; თუ წყლით სარგებლობის წესის შეცვლა სურდა, რატომ საბჭოს კრება არ დანიშნა და არ მოახსენა თავისი მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ. არა გვგონია, ბ-ნმა ბერენსმა არ იცოდეს, რომ ქალაქის მოურავი, კანონით, აღმასრულებელია საბჭოს დადგენილებისა, და ამ უკანასკნელის დაუკითხავად არავითარის ახალის წეს-რიგის შემოღების უფლება არ აქვს. მაშ როგორ მოხდა, რომ საბჭოს დაუკითხავად ქალაქის მცხოვრებთ წყლის მილები დაუკეტა, წარმოუდგენელია.

ამ ჟამად ძალიან ბევრია აქ ციებით ავად. ციების გავრცელებას აქ, სხვათა შორის, უვარგისი და უმწიფარი ხილიც უწყობს ხელს, რომელიც ბლომად იყიდება და ყურადღებას-კი არავინ აქცევს.

მექი

# რუსეთი

—

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში დაარსდა პრემია, რომელიც შეიცავს 500 მანეთს და რომელიც 1902 წლის 3 დეკემბრიდგან მიეცემათ ყოველ 5 წლის შემდეგ ამ სამინისტროს საშუალო და დაბალ სამეურნეო სასწავლებელთა მასწავლებლებს სამეურნეო წიგნის დაწერისათვის.

— გაზ. „როსსია“ იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭო შემოდგომაზედ განიხილავს რუსეთის ვაჭართა წოდების უფლებათა საქმეს. ლაპარაკი ამ საგნის შესახებ აღძრეს პეტერბურგელმა ვაჭრებმა. საქმის ვითარება შემდეგია. 1864 წლამდე იმ პირთ, რომელნიც 10 წლამდე დარჩებოდნენ ვაჭართა წოდებაში, ეძლეოდათ ზოგიერთი უფლება-უპირატესობანი. მაგალ., იმ ვაჭრებს, რომელნიც პირველ გილდიის ხარჯს 10 წლის განმავლობაში გარდაიხდიდნენ, ხოლო მეორე გილდიისა-კი—20 წლის განმავლობაში, ჰქონდათ მემკვიდრეობითის საპატიო მოქალაქის უფლება. 1864 წლიდგან ეს უფლება მოესპოთ მეორე გილდიის ვაჭრებს და შერჩათ მხოლოდ პირველ გილდიის ვაჭრებს. ვაჭრები არა ერთხელ ცდილან აღედგინათ თავიანთი უფლება, მაგრამ ეს ვერც ერთხელ ვერ მოახერხეს. ამასთან ერთად აღიძრა მეორე საქმეც—საქმე დროებითის ვაჭრების მდგომარეობის შესახებ, რომელნიც განთავისუფლებულნი იყვნენ ვაჭართა წოდების მრავალ ბეგარისაგან. დროებითი ვაჭრებიც, როგორც უფრო მრავალნი რიცხვით, აგრეთვე მოისურვებდნენ თავიანთ უფლებათა გაფართოვებას, მაგრამ სავაჭრო გარდასახადის შემოღების შემდეგ ეს საქმე იმ აზრით გადასწყდა, რომ ყველას, ვინც-კი აღებ-მიცემობას ეწევა, თუნდა ვაჭარიც არ იყოს, თავისუფლად შეუძლიან, ვაჭართა წოდებას მიეწეროს და, მაშასადამე, მიიღოს ყველა ის უფლებანი, რომელნიც ამ წოდებას აქვს მითვისებული. გარდაუწყვეტელი ჯერ-ჯერობით რჩება მეორე გილდიის ვაჭრების უფლებათა საქმე.

—კბილის სამკურნალო სკოლების რიცხვი თან და თან მრავლდება რუსეთში. ამ ჟამად სულ ათი ასეთი სკოლა არსებობს. ერთი—პეტერბურგში; მოსკოვსა, ვარშავასა და ოდესაში...

---

არის შეერთება იმ ფუნქციათა, რომელნიც ეწინააღმდეგებიან სიკვდილს. ეს ფუნქციები ბევრნაირია: აგებულება, შთამომავლობის გაჩენა, კვება, ზრდა. ეს თვისებანი ეწინააღმდეგებიან სიკვდილს, რომელიც მტკიცედ შეკავშირებულია მოხუცებულებასთან, ავადმყოფობასთან. ამ ნაირად შეერთებული ფიზიოლოგიური და ქიმიკური ფუნქციები, რომლებისაგანაც შესდგება ადამიანის ფიზიკური ცხოვრება, განიყოფება ორ სხვა-და-სხვა გვარ ნაწილად. ერთი ნაწილი არის სიცოცხლის შემწყობი, მეორე კი სიკვდილისა. ეს ფუნქციები მოიპოვება ყოველს ცოცხალ არსებაში, მაგრამ სიცოცხლის ხელის შემწყობი ფუნქციები სჭარბობს და ამნაირად სიკვდილი მისივე ხელის შემწყობ ფაქტორებით დაჯაბნებულია. როდესაც სიცოცხლის რომელიმე ხელის შემწყობი ფაქტორი ჰღალატობს არსებას, მაშინ სიკვდილი მეტს ძალას იჩენს; როდესაც დამთავრებულს ცოცხალს არსებას ის ეხარჯება, რასაც ჰკრებს საკმარისად გარეშე ქვეყნიერებისაგან, მაშინ იგი ნეტარებაში იმყოფება; როდესაც არსებას მეტი ეხარჯება, ვიდრე აგროვებს—იგი იტანჯება. ამ მოვლენას ჰბადებს საჭმლის უქონლობა, ავადმყოფობა, სიბერე. უფრო მაღალ ხარისხოვან ცხოველებში, როგორიც არის, მაგალითად, ადამიანი, ამავე მოვლენას დაჰბადებს რომელიმე აფფექტი, რომელისამე, ცხოვრებისთვის აუცილებელ, საგნის მოკლება. მაშ ფიზიკურ მოვლენასთან ერთნაირი გავლენა ჰქონია სულიერს მოვლენასაც.

სამკურნალო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ უსიამოვნო ამბავი ადამიანს მადას უკარგავს; ამ გვარად სულიერ მოვლენის სხვა-და-სხვა ორგანოებზედ მოქმედებით იგივე შედეგი მოჰყოლია, როგორიც სხვა-და-სხვა ავადმყოფობას მოსდევს. ადამიანის უიმედობას—პესსიმიზმს—სხვა-და-სხვა ავადმყოფობასავით აჩენს, მაგალითად, თავისუფლების დაკარგვა, რადგან თავისუფლება ერთად ერთი აუცილებელი მოთხოვნილებაა როგორც კერძო კაცისა, ისე მთელის საზოგადოებისათვის. ამიტომ რომელისამე მწერლის პესსიმიზმის, ან ოპტიმიზმის მიზეზი უნდა ვეძებოთ ჩვენ იმ გარემოებაში, რომელთა შორისაც სცხოვრებდა იგი. ორივე ჰპოულობს ნიადაგს ან თვით მწერლის არსების თანასწორობის დარღვევისა, ან კეთილდღეობის, ან თვით ერის ამა თუ იმ მდგომარეობის დროს. ამა თუ იმ შემთხვევაში ორივეს (პესსიმიზმს და ოპტიმიზმს) ღრმად უდგია ფესვი თვით ცხოვრებაში. აქედგან ცხადია ადამიანის სულის მდგომარეობის და თვით მთელის აგებულობის თვითგრძნობის გავლენა ყოველ მოქმედებაზედ, რა თვისებისაც უნდა იყოს ეს მოქმედება: ინტელექტუალური, თუ ფიზიკური. აქედგან ცხადია ის დასკვნა, რომ თვით სოციალური ცხოვრება ნერვებზედ გავლენით ახდენს ადამიანში სიცოცხლის ძალის ამწევ ან დამწევ მოქმედებას, იმისდა შესაფერად, თუ როგორი ელემენტები: პროგრესიული თუ რეგრესიული სჭარბობს სოციალურ ცხოვრებაში: ამ მხრივ საინტერესოა მესამოცე წლები რუსეთში. ამისათვის ავიღოთ და მოკლედ განვიხილოთ ეს წლები, რადგან ამ დროს ჩვენში დღესაც დიდს ყურადღებას აქცევენ და მეტს მნიშვნელობასაც აძლევენ.

მესამოცე წლების სიცოცხლე თუ გვინდა კარგად გავიგოთ, უნდა ვიცოდეთ რას წარმოადგენდა რუსეთი მესამოცე წლებამდე. რუსთა მწერალმა გონჩაროვმა საოცარის ნიჭით დაგვიხატა მიძინებული რუსეთი ობლომოვის სახით. თუმცა რუსეთის ცხოვრების ცის კიდურზედ მესამოცე წლებამდის თავი ამოეყოთ და აქა-იქ ანათებდნენ მიძინებულს რუსეთს ძლევა-მოსილნი მწერალნი, მაგრამ მათი რიცხვი მეტად ცოტა იყო სიბნელით გარემოცულის რუსეთის გასაშუქებლად. თუმცა ისინი მაღლა ჰღაღადებდნენ სამართლიანს კანონებს, იწვევდნენ მთელს რუსეთს სინათლისაკენ, მაგრამ რუსეთს იერსა და ფერს აძლევდნენ ჩიჩიკოვები, დმუხანოვსკები და სხვანი. ეხლა ძნელად წარმოსადგენელია ის ბოროტ მოქმედება, რომელიც თავდაუჭერლად არსებობდა იმ დროინდელ სამხედრო და საადმინისტრაციო წრეებში. კითხულობ და არ გჯერა ის უწესოება, პირდაპირ ძარცვა გლეჯა, რომელიც გამოააშკარავა ყირიმის ომმა. ყირიმის ომმა ნამდვილად დაანახვა რუსეთის თვით მთავრობას, რომ გამოღვიძება და პროგრესის გზაზედ დადგომა აუცილებლად საჭირო იყო. საზოგადოებამ თვისის საუკეთესო წარმომადგენლებით დამთავრობამ პირი შეჰკრეს და შეუდგნენ საზოგადოებისათვის სასარგებლო ცვლილებათა შემოღებას, რომელთა შორისაც თვალსაჩინო ალაგი დაიჭირა პირადობის განთავისუფლებამ. აი, ამ ცვლილებათა საჭიროების შეგნებამ საზოგადოებაში და პოლიტიკურ სფეროში ერთსა და იმავე დროს შეჰქმნა ის სიცოცხლე, ის სულის აღმაფრთოვანებელი მდგომარეობა, რომლითაც მდიდარია მესამოცე წლები. ამ დროს რუსეთის ცხოვრებაში გზა გაიკვლია იმ უკვდავმა წყარომ, რომელიც მოამზადა საფრანგეთმა რევოლიუციის დროს კაცობრიობისათვის და რომელმაც მთელი ევროპა გაასულდგმულა. ამ წყაროს შეადგენს თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა.

მესამოცე წლებს ჩვენ ზნეობრივად აღყვავების დრო უნდა ვუწოდოთ. ამ დრომ შეჰქმნა დღევანდელი მეცნიერების გარემოებანი, თითონ კი მეცნიერების მხრივ ბევრს არაფერს წარმოადგენდა. მაშინ ხშირად გაისმოდა კათედრიდგან, საზოგადო კრებების დროს თვით ბეჭდვითაც ზნეობრივი დედა აზრი და სამართლიანობის მნიშვნელობის შესახები ბაასი. ეს იყო ზოგადი აზრები, რომლებითაც იწყებოდა და თავდებოდა ყოველი სიტყვა და საზოგადოების სულის მდგომარეობაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამში—ორ-ორი, ხარკოვსა, კიევას და ყაზანში—თითო.

— პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის სასწავლებელთა საბჭოებს შუამდგომლობა აღუძრავთო იმის შესახებ, რომ ჯამაგირი მოემატოთ იმ სოფლის მასწავლებელთ, რომელთაც 300 მანეთზედ ნაკლები აქვთ. ამ საგნის შესახებ შუამდგომლობა წინადაც არა ერთხელ აღძრულა.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ავსტრო-უნგრეთის სამხედრო აგენტის—პოლკოვნიკის შნეიდერის შემდეგ, იტალიის სამხედრო აგენტად ნამყოფმა პოლკოვნიკმა პანიცარდიმაც აღიმაღლა ხმა დრეიფუსის მოწინააღმდეგე ზოგიერთ ჩვენების შესახებ. შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა „Figaro“-ს რედაქციას დასაბეჭდად: „გთხოვთ სიმართლის გულისთვის გამოაცხადოთ შემდეგი: როგორც სტენოგრაფიულ ანგარიშიდგან სჩანს, გენერალ როჟეს უჩვენებია სამხედრო სასამართლოსათვის, ვითომც დრეიფუსის დაჭერის დროს მე მოხსენება წარმედგინოს რუხმანისათვის. (იტალიის ელჩი), რომელშიაც ვითომ გლაპარაკობდი, რომ შვარცკოპენს დამოკიდებულება ჰქონდა დრეიფუსთან-მეთქი. ვაცხადებ, რომ ასეთი მოხსენება არასოდეს არ ყოფილა და არავითარი ამის მსგავსი არასოდეს არ მილაპარაკნია. მე გავიგე საფრანგეთის კაპიტანის დრეიფუსის სახელი მხოლოდ მისი დატუსაღების წყალობით, როგორც წინადაც გაცხადებდი ამას ოფიციალურად და მხედრისა და აზნაურის პატიოსანი სიტყვით“.

— ამბობენ, რომ რომფორს შეეშინდა-რა, არ დამიჭირონო, პარიჟიდგან შვეიცარიაში გაიქცაო. ღამით ის წასულა ბელგრადში, გადაუვლია შვეიცარიის საზღვარი და მეორე სადამოს ჟევანში მისულა, იქ დაუქირავებია 50 ფრანკად ეტლი და ბუევერში წასულა, რომელიც ჟენევის ტბის ნაპირას და საფრანგეთის საზღვრის ახლოს მდებარეობს. იქ სახლი დაუქირავებია რომფორს, რომელშიაც დიმდგარა და არსად არ გადის და არც არავის ეჩვენება თურმე.

—

**სერბია.** მეფე ალექსანდრეს, მილანისა და მინისტრების წასვლამ ნიშში ეხლა, როცა ბელგრადში გნეჟევიჩისა და სხვა პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმე ირჩევა, ევროპის ჟურნალ-გაზეთების ყურადღება მიიპყრო, რომელნიც ცდილობენ მეფის სახლობისა და მთავრობის ასეთის საქციელს საფუძველი უპოვნონ, მისი ნამდვილი მიზეზი გაიგონ. ზოგიერთები იმ აზრის არიან, რომ ბელგრადში ძლიერ ბევრი მტერი ჰყავს მილანს და თუმცა ამ ჟამად იქ სასტიკი ღონისძიებაა მიღებული მათ წინააღმდეგ, მაგრამ უშიშრად ცხოვრება მაინც არ შეეძლოო და ამიტომ აირჩია ნიში, რომლის მცხოვრებლები მადლიერნი არიან მისი და მომხრეობას უწევენო; მილანს აჰყვა მეფე-შვილი, რომელმაც თავისი ბედ-იღბალი მამის ბედ-იღბალს დაუკავშირაო, და მეფეს მინისტრებიც გაჰყვნენო. მაგრამ, როგორცა სჩანს, ნიშიც ისეთი კეთილსაიმედო აღარ ყოფილა ეხლა, როგორც რამდენისამე წლის წინად იყო; იქაც შემცირებულა მილანის მომხრეთა რიცხვი. მთავრობის მოწინააღმდეგე გაზეთების სიტყვით, ნიშშიც, ისე როგორც სხვა ქალაქებში, ათობით და ოცობით ატუსაღებენ თურმე მთავრობის არა სასიამოვნო მოქალაქეთ; ასე რომ ამ ჟამად იქ ორასამდე არა კეთილსაიმედო და საეჭვო კაცი ყოფილა დაჭერილი.

—

**ამერიკა.** გაზეთებს ამბავი მოსვლიათ რიო ჟანეიროდგან, რომ, როგორც ბრაზილიის გარეშე საქმეთა მინისტრის სიტყვებიდგან მტკიცდება, ბრაზილიას, არგენტინას და ჩილის ერთმანეთ შორის პირობა დაუდვიათ, რომელიც ჩქარა იქნება ხელმოწერილიო. ამ ხელშეკრულობის ძალით ყოველგვარი სადავო საქმე ხსენებულ სამ სახელმწიფოს შორის მხოლოდ მედიატორულის სამართლით უნდა გარდასწყდესო. ამას გარდა, სამივე სახელმწიფოს დაუდგენიათ შეამცირონ ხარჯი, რომელიც დღემდის ხალხს ვალად ედვა მხედრობისა და ფლოტის გასაძლიერებლად.

## დამავურდა

თავადი ის-კი არ არის, ვინც ბრწყინვალედ იმოსება, სავარძელს იდგამს და ოქროს არგნით გამობრძანდება, არამედ ის, რომელიც რაიმე საქვეყნო საქმეს თაოსნობს.

ლასურიძე

* * *

ნუ ვინ იტყვის: „შემიბრალეს და ვერ ძალ მიც აღდგომად“!

გიორგი მთაწმინდელი

* * *

კეთილი დაწყება მოვიღვაწოთ და გვირგვინი სიმართლისა დავიდგათ.

თეოდორე სტუდიელი

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საფრანგეთის ერთს მიყრუებულ ქალაქში უპოვნიათ ძველის-ძველი სავაჭრო განცხადება („ვივესკა“). როგორც ამ განცხადებიდგანა სჩანს, იმის პატრონს ყოველგვარი ხელობა და საქმე სცოდნია. აი თვით შინაარსი ამ განცხადებისა: „ისაკ მოკერი, დალაქი, პარიკმახერი, ფელდშერი, სკოლის მასწავლებელი, მედედალი და ბებია. წვერის გაპარსვა 1 სუ ჰღირს, თმის გაკრეჭა 2 სუ. ვიცი აგრეთვე ლამფების ანთება და ვკისრულობ ამ საქმეს ერთის წლით, ან სამის თვით. ახალგაზდა ყმაწვილ კაცებს ვასწავლი, საუკეთესო მეთოდის შემწეობით, წერა-კითხვასა და ყოველგვარ მეცნიერებას. აგრეთვე შემიძლიან უზნეო კაცების გასწორება. ვასწავლი სიმღერასა, ცხენზედ ჯდომას, გიტარის დაკვრას და სხვა-და-სხვა ცეკვას. ვკერავ ფეხსაცმელს, ვიცი მაზოლების ამოჭრა; ყველა ამას მეტად მცირე ფასად ვაკეთებ. ვყიდი სასაქმებელ წამალს, თითო ცალი ერთი სუ ჰღირს. ვყიდი აგრეთვე ყოველგვარ საკანცელარიო ნივთებს, ვაქსს, სელიოდკებს, ტკბილ საჭმელებს, ჩოტკებს, ხაფანგებს თაგვების დასაჭერად, მიწის ვაშლებს, ძეხვებს და მწვანილს. ყველა ამას გარდა ოთხშაბათობითა და შაბათობით ვასწავლი მსურველთ გეოგრაფიასა და ვაჭრობის საქმეს“.

* *

როგორც ვუწყით, პროფესორმა ლინდემ ჩვეულებრივი ჰაერი სითხედ გარდააქცია. ამისათვის მან განსაკუთრებული მანქანა მოიგონა. დღეს ყველას შეუძლიან ამ მანქანის შემწეობით იქონიოს თავისს სახლში ჰაერისაგან მომზადებული სითხე. ამ სითხეს-კი ბევრი რამ უცნაური თვისება ჰქონია. ზოგიერთი ნივთიერება, მაგალითად, პარაფინი, ცოტა ხანს ამ სითხეში რომ ჩასდოთ ბნელაში გაანათებს; ლითონი ისე დაიმტვრევა და დაიმსხვრევა, როგორც შუშა; რბილი კაუჩუკი რკინასავით მაგრდება და სხვა. სითხედ ქცეულ ჰაერის ტემპერატურა—190° უდრის. რასაკვირველია, ასეთ ცივ რამეში თითი რომ ჩაჰყოთ, მაშინვე უნდა გაიყინოს, რადგანაც ჩვეულებრივ 45 გრადუსი სიცივეც კი ჰყინავს. მაგრამ ნამდვილად ასე არ არის. ამ უცნაურ სითხეს განსაკუთრებული თვისება ჰქონია: თითი კარგა ხანს შეგვიძლიან დავიჭიროთ სითხეში, მაგრამ გაყინვით მაინც არ გაგვეყინებათ. როგორც ექიმ უაიტს გამოუკვლევია, სითხე საუკეთესო საშუალებაა ოპერაციების დროს სისხლის შესაჩერებლად და ტკივილის მოსასპობად. ყველა ამის გარდა ჰაერისაგან მომზადებული სითხე მრავალ ისეთ ავადმყოფობასაც არჩენს თურმე, რომელთა წინააღმდეგ სამკურნალო მეცნიერებას არავითარი საშუალება არ გამოუგონია; მაგალითად, კუს, ნევრალგიას, წითელ ქარსა და მრავალ სხვას.

* * *

მეცნიერები კარგა ხანია შეუდგნენ იმის გამოკვლევასა და გაგებას, თუ რა ხნისა უნდა იყოს მზე. ამ შემთხვევაში მეცნიერების აზრი განსხვავდება. სხვათა შორის, ამერიკელ ასტრონომის ლეეს გამოანგარიშებით, მზე ამ ჟამად 36 მილიონის წლისა უნდა იყოს. ლეეს აზრით მზე 4 მილიონ წელიწადს კიდევ ანათებს, შემდეგ-კი ჩაქრება. მაშინ, რასაკვირველია, ყოველივე სიცოცხლე მოისპობა დედამიწაზედ.

* * *

ერთს ინგლისელს ინჟენერს გამოუგონია ზღვის გასანათებელი ლამფა. ლამფა შიგნით მჟავე-ბადიან კალციით არის სავსე, რის გამო წყალთან შეხების დროს აცეტილენის გაზი ჩნდება. ამ მანქანის სინათლე 1000 სანთლის სინათლეს უდრის. მანქანა ყუმბარასა ჰგავს და იმის გასროლა ადვილად შეიძლება. გასროლილი მანქანა წყალში ჩავარდება თუ არა, მაშინვე გაანათებს. კარგი სანახავიც არის თურმე წყალზედ მოტივტივებული მანქანა: გარეშემო ისე კარგად ანათებს, რომ რამდენისამე ვერსის სიშორიდგან ყველაფერი კარგად შეგვიძლიანთ გავარჩიოთ. ამბობენ, რომ ზღვაზედ ომის დროს ამ ლამფას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებაო.

### წერილი რედაქციის მიმართ

ამ უკანასკნელ ხანს ჩვენებური, უცნობი კორესპოდენტები გაკვრით ავრცელებენ ჩემს შესახებ მრავალ ნაირ ჭორსა და ცილს, მაგრამ მე, მართალი მოგახსენოთ, ხან არ მეცალა საპასუხოდ და ხან, ცნობილის რუსის მწერალის არ იყოს, იმ აზრისა ვიყავი, რომ „უვიც-უგუნურ მწერლებს ვერ გავასწორებ ჩვენს ბედ-კრულს საქართველოში და გონიერ-დარბაისელ კაცებს თავს მოვაწყენ-მეთქი“, მაგრამ ჩემი უცნობი წინააღმდეგნი სარგებლობენ ჩემის სიჩუმით და ხშირად ისეთის დაბეჯითებით, სინამდვილითა და რიხით მოუთხრობენ მკითხველს სხვა-და-სხვა მოგონილ ამბავს ჩემს შესახებ, რომ არა თუ ჩემი უცნობნი, ნაცნობებიც-კი ერწმუნებიან ჩემს წინააღმდეგ განზრახ მოგონილ და გავრცელებულ აზრებს. ამიტომ იძულებული შევიქენი პასუხი გამეცა, რადგანაც ჩემს სიჩუმეს, რუსული ანდაზისა არ იყოს, ჩემს საწინააღმდეგო აზრების თანხმობას მიაწერენ. მაგალითი: ამ თვის მე-31 №-ის „კვალში“ ვილაცა იწერება ქუთაისიდგან დაბეჯითებით შემდეგს ამბავს ჩემის მოქმედების შესახებ: „ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყეთ, რომ ქ. ოზურგეთის მოურავი, ახალგაზდა დემოკრატი, თ. ნ. თავდგირიძე მეცადინეობს, სადაც ჯერ არს, რომ ამორჩეულთა ცენზი ასწიოს. დღეს ოზურგეთში ორ მანეთიან *) მესაკუთრეს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ქალაქის არჩევანებში“. აი ამისთანაზე იტყვიან ჩვენში: „ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს ეუბნებოდაო“. საიდგან, რა ცნობებიდგან ამოიწერა კორესპოდენტმა ეს „ნამდვილი“ ამბავი?!. მადლობა ღმერთს, ვისაც-კი ესმის რამე საზოგადო კანონებისა და კერძოდ ქალაქის წესებისა, ის ადვილად მიხვდება, რომ ყოველნაირი შუამდგომლობა, რომელიც-კი ადგილობრივ მკვიდრთა უფლებების შემცირებას, ან გაფართოებას შეეხება, პირველად უნდა განხილულ იქმნას საბჭოში და შემდეგ ოფიციალურად წარდგენილ გუბერნატორის საშუალებით უმაღლესის მთავრობის წინაშე. აქ არაფრის დამალვა არ შეიძლება. მზადა ვარ ყოველნაირი სასჯელი ვიკისრო, თუ-კი სადმე მიჩვენებენ ჩემის მხრივ გაწეულს რაიმე მეცადინეობას,—კერძო პროექტს, ან

*) რომელ კანონიდგან ამოიწერა ქუთაისელმა „იურისტმა“ ეს ახალი წესი: არსად, რუსეთის კანონების ძალით, ას მანეთ ნაკლებიანი ცენზი არ არსებობს. ორ მანეთიანი ცენზი რომ სადმე იყოს, ეს ხომ საყოველთაო არჩევანების უფლება იქნებოდა, რომელიც არა თუ რუსეთს, საუკეთესო დემოკრატიულ რესპუბლიკებსაც არ მოეპოვებათ.

---

იმ გვარი იყო, რომ სწამდა სამართლიანობისა და ზნეობის დიდი მნიშვნელობა ცხოვრებაში, სულითა და გულით ეგებებოდა ამ სიტყვებს და შეძლებისა და გვარად განხორციელდა ცხოვრებაში. ამ გამოღვიძებას, ზნეობრივად განახლებას მოჰყვა ეხლანდელი კვლევა-ძიების საჭიროებაც. ჩვენს დროს გაჩნდნენ მეცნიერების ზოგიერთნი დარგნი, რომელთა არსებობის შესაძლებელობა ფიქრადაც არ მოსვლიათ მესამოცე წლების მოღვაწეებს. ფრთა გაშალა და საოცრად განვითარდა პსიხოლოგია. მისი მეტაფიზიკური მიმართულება დავიწყებაში შევიდა და დამყარდა დღეს სულ ახალის სახის ფსიხოლოგია—ფიზიოლოგიური ფსიხოლოგია, რომელსაც მტკიცე საფუძვლად დაედო ფიზიოლოგია, ფსიხიატრია. ბიოლოგიას გაუჩნდა ახალი შტო—ბაქტერიოლოგია, რომელიც დღითი დღე იზრდება. საზოგადოდ ამ უკანასკნელ დროს, თითქმის ყოველმა დარგმა მეცნიერებისამ იცვალა ფერი და თვისი საზღვრები გაიწია და შინაარსი გაიფართოვა. შემაერთებელი კავშირი კი ამ მეცნიერებათა შორის ანუ თვით მეცნიერებათა ფილოსოფია თითქმის ერთს ალაგას სდგას. ცხოვრების ერთ გვარ კალაპოტში ჩაყენება და მისი შეუფერებლობა ზოგიერთ ახლად წარმოშობილ მოთხოვნილებასთან, მეცნიერების შტოთა გაგანიერება და იმათი შემაკავშირებელ საბუთების ერთ წერტილზედ შეჩერება შეუმჩნეველი არ დარჩა ახალის თაობისათვის არა თუ რუსეთში თვით ევროპაშიაც. დღეს ზნეობრივი დედა აზრები, მოთხოვნილება და დიდი საჭიროება სამართლიანობისა დავიწყებულ სიტყვებად შეიქმნა. დღეს მესამოცე წლების მასწავლებლებმაც და პროფესორებმაც-კი დახშეს ბაგენი თვისნი და არ გაიძახიან ძველებურად ამ სიტყვებს. დღევანდელს მეცნიერს ადვილად ვერ მოუხერხებია მეცნიერების გაფართოების გამო თვალი გადაავლოს და გვაჩვენოს მეცნიერების შტოთა შემაერთებელი სახელმძღვანელო ძაფი. განაწილებული შრომა, ანუ შრომის განაწილება, რომელიც თანამედროვე მრეწველობაში მოხდა, დიდს ალაგს იჭერს თანამედროვე კვლევა-ძიების საქმეშიაც.

ამ გარემოებათა წყალობით დღეს სწავლა განათლება თუმცა საყოველთაოა, მაგრამ ინტენსიურად როდი ითვისებენ. სწავლა განათლების გავრცელება ორის მხრივ შეიძლება: ერთი ინტესიურია, მეორე ექსტენსიური. პირველის მოედანი ვიწროა, მაგრამ ამ მოედანზედ მაგრად იდგამს ფეხს სწავლა განათლება, რადგან მისის შეთვისების სურვილი უფრო გულ-წრფელი და უანგაროა; მეორე მოედანი უფრო ფართოა, მაგრამ თვით განათლება ძლიერ სუსტად იდგამ ფეხს, რადგან მისის შეთვისების სურვილი ხალხში უფრო პრაქტიკულს მოსაზრებას გამოუწვევია. პირველს, ინტენსიურს განათლებას, ევროპაში ჰქონია ალაგი მაშინ, როდესაც უმრავლესობა უმეცარი ყოფილა; მაინც უჩენიათ თავი იმისთანა დევგმირებს, როგორნიც არიან გალილეი, ჯიორდანი ბრუნო, კოპერნიკი და სხვ. ასე ყოფილა ძველ საბერძნეთში, სადაც ძლიერ შესამჩნევად იყო ხალხი დაყოფილი კლასებად; როდესაც ერთი ნაწილი საოცარს სიბნელეში იჩხობოდა, მეორე ნაწილში თავს იჩენდნენ ხშირად დიდის ნიჭითა და განვითარებით აღბეჭდილნი ადამიანნი: მეორეს, ექსტენსიურს სწავლა განათლებას, კარგად ვხედავთ დღეს, როდესაც ვითომ და ნასწავლნი ბევრნი არიან, მაგრამ მათ შორის ძლიერ ცოტანი მოიპოვებიან დიდის ნიჭითა და ღრმა სწავლით აღსავსენი. თითქოს ინდივიდუალიზმმა, ან პირადობის მეტმა განთავისუფლებამ მეცხრამეტე საუკუნეში თან და თან დაახურდავა, დაშალა გენიოსობა. ამ მოვლენის უმთავრეს მიზეზად ის გარემოება უნდა ჩავთვალოთ, რომ გაფართოვდა მეცნიერება, რამაც ცალკე საგნების შესწავლის აუცილებლობა, საგნების სპეციალიზაცია გამოიწვია. ამ გვარად, უნდა აღვიაროთ, რომ სამეცნიერო ფაქტიური მასალა დღეს აურიცხველია, მაგრამ სამეცნიერო საგნების განვითარებისა და გაფართოების გამო ძნელი შეიქმნა მათი შეკავშირება. ეს ვეებერთელა მასალა დამოკლის ხმალსავით აწევს დღეს კისერზედ როგორც საბრალო მოსწავლეთ, აგრეთვე მეცნიერთ. სოციალური ცვლილებანი, რომელსაც თან სდევს საზოგადოების გამოფხიზლება და გამოცოცხლება, ხომ ყოველდღე არა ხდება. ამასთანავე რთული შეიქმნა ცხოვრებაც და ცხოვრების სიძნელემ ლუკმა პურისათვის ბრძოლაც გაამწვავა. ამ გარემოებამ ჩამოაგდო არამც თუ რუსეთში, საზღვარ გარეთაც-კი რაღაც ჩაფიქრებული, სევდიანი ცხოვრება.

ევროპაში თუ ეს ასეა, ვის უნდა უკვირდეს, რომ ჩვენშიაც საკმაოდ იჩინა თავი პესსიმიზმმა, რომლისათვისაც ნიადაგი დიდი ხანია დამზადებულია ჩვენის ახალგაზდობისათვის. ბ-ნი კიტა აბაშიძე შეეხო ამ საგანს. 1897 წ. მან ჟურნალ „მოამბე“-ში **) დასტამბა წერილი, რომელიც ჩვენს ახალგაზდობას ეძღვნა. წერილის ავტორმა ჩვენი ახალგაზდობა შეადარა მესამოცე წლების მოღვაწეებს და ისეთი განსხვავება ჰპოვა უკანასკნელთა სასარგებლოდ, რომ გლოვა დაიწყო, და ამ მგლოვიარებას, უიმედობას ისე მძლავრად შეუპყრია ავტორი, რომ წერილი ცუდად ჰმოქმედებს მკითხველებზე. ახალგაზდა მწერალი ვაგან, უნდა გავტყდე, არ მოველოდი ამ გვარ სულის დაძაბუნებას და ამ დაძაბუნების ახალგაზდობის კისერზედ მოხვევას.

ე. ვაშაკიძე.

(დასასრული იქნება)

**) „მოამბე № 7, 1897 წ.

მოსაზრებას მცხოვრებთა უფლების შემცირების შესახებ, არა თუ არ მიცდია, არც მომსვლია აზრად უფლების შემცირება, რადგანაც ჯერ-ჯერობით, მადლობა ღმერთს, არავითარი უთანხმოება-განხეთქილება არ არსებობს ოზურგეთის საზოგადოებაში ისეთი, რომ საერთო საქმეს აბრკოლებდეს; წინაალმდეგ, აქაური უმრავლესობა უფრო გონიერად, სამართლიანად სჯის, ვიდრე სამიოდ-ოთხიოდე ვითომ-და ნასწავლი ჩვენებური ახალგაზდა, რომელნიც თავიანთის უგუნურის, უადგილო, არა გულ-წრფელ აზრ-მოქმედებით აბრკოლებენ, ხელს უშლიან ყოველს ჩვენებურს საკეთილო საქმეს.

ყველასათვის ცხადია აქ, რომ „კვალის“ კორესპოდენტს რაღაცა აქვს პირადი ჩემი საწინააღმდეგო გულში; უნდა რამენაირად „კბილი გამკრას“, შემეხოს და აი ამ სურვილით გატაცებული სრულიად უსამართლოდ ბრალსა მდებს ისეთ საქმეში, რომელიც არა თუ არ არსებობს, ფიქრადაც არავის მოსვლია; მაგრამ მოგონებას კიდევ რა უჭირს: „სიცრუეს მოკლე ფეხები აქვსო“, ნათქვამია ჩვენში. საქმე ის არის, რომ ასეთი უმიზეზოდ, მტრულად ამხედრებული მწერლები ყოველნაირ კეთილ აზრსა და მიმართულებას ამა თუ იმ, იმათთვის არა სასიამოვნო, მოღვაწისას, ასახიჩრებენ, სრულიად სხვა ფერით აჩვენებენ საზოგადოებას. ისეთს აზრსა დ საქმეს იწუნებენ, სასაცილოდ იგდებენ, რომელიც ყოველ მცოდნე, მცირედ ნასწავლ კაცსაც-კი ძლიერ საქებურად და სამაგალითოდ უნდა მიაჩნდეს.

ჩვენის გაზეთების მკითხველნი უეჭველად შეამჩნევდნენ, რომ „კვალის“ კორესპონდენტები და ხელმძღვანელნი ხშირად დაცინვით იხსენიებენ ჩემს საშუალო სასწავლებლის დაარსებისა და რკინის გზის გაყვანის შესახებ პროექტებს, თითქოს სიძნელე საქმისა, მისი ადვილად აუსრულებლობა საკმარისი საბუთი იყოს პროექტების თავისდათავად უვარგისობისა და უსარგებლობისა; სჩანს, რასაც დაბრკოლება შეხვდება ცხოვრებაში, ის ყურადღების ღირსი არა ყოფილა (?!). ამას ქადაგებენ ეგრედ წოდებულ ვითომ-და „პროგრესსიულ“ ორგანოს ფურცლებზედ, ახალის ცხოვრების სულის ჩამდგმელნი; თვით „ცნობილი“ იდეალისტი, რომელსაც კერძო მსჯელობის დროს „ზღვაზედ ხიდის გაკეთებაც“-კი ადვილად მიაჩნია, მთელის კვირაობით „რიფმებს“ ჰკრებს, რომ სასაცილოდ აიგდოს, „ყბად“ აიღოს ჩემი, ცხოვრების სინამდვილეზედ აგებული, თვით ადგილობრივ გარემოებათაგან გამოწვეული პროექტები. საგულისხმო აქ ის არის კიდევ, რომ ამ შემთხვევაში ცნობილი ბათუმელი „რეტროგრადული“ გაზეთი და ახალი პროგრესსიული მიმართულების „მომბერველი“ „კვალი“ ერთნაირის აზრისანი არიან. ასეთი მოღვაწენი, ასეთი მწერალნი უკიჟინებენ სხვებს დედა-აზრის შეცვლას, აზრისა და საქმის უთანხმოებას (?!). სწორედ ამგვარი შემთხვევის შესახებ იტყვიან ჩვენში: „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო!!!“

ნიკო თავდგირიძე

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 აგვისტო.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია განკარგულება ვარშავის საიმპერატორო უნივერსიტეტის წესდების შეცვლის შესახებ.

**რენი** „ჰავასის სააგენტო“. სხდომა გაიხსნა 6 ს. 35 წ. მდივანმა წაიკითხა ექიმის მოწმობა იმის შესახებ, რომ დიუ-პატი-დე-კლამს არ შეუძლიან რენში მოსვლაო.

გამოუძახეს „Observer“-ის კორესპოდენტს. იმან ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ნახა რამდენჯერმე ესტერგაზი.

სამხედრო სამინისტროს ერთმა მღივნად ნამყოფთაგანმა აჩვენა, რომ დრეიფუსი ვნახე, როცა რკინის გზის სადგურების სიას ადგენდა, სადაც მხედარნი უნდა ჩასხდნენ ვაგონებშიო. დრეიფუსმა უპასუხა, რომ კაპიტანის ბესის ბრძანებით ვსწერდი იმასო.

გამოუძახეს ხელნაწერების ექსპერტებს. გონზი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ექსპერტი გობერი ხშირად ფრთხილად არ იქცეოდაო. დრეიფუსმა განაცხადა, რომ არავითარი დამოკიდებულება არა მქონია საფრანგეთის ბანკთან, სადაც გობერი ექსპერტად მსახურებსო. ბერტილიონმა გაიმეორა თავისი ჩვენება, რომელიც საკასაციო სასამართლოში ილაპარაკა.

**პარიჟი.** კაბინეტის საბჭოს დეკრემ აუწყა დეპეშა, რომელიც ეჭვს გარეშე ჰყოფს პოდპოლკოვნიკის კლობბის მოკვლას. პრეზიდენტებს მიწერილობა გაუგზავნეს, ამის შემდეგ ვულე და შანუანი მეამბოხეთ ჩასთვალეთო.

**ოპორტო.** „ჰავასის სააგენტო“. გუშინ ორი კაცი გახდა შავი ჭირით ავათ. მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია.

14 აგვისტო

**პარიჟი.** ანტისემიტები ცდილობდნენ ხუთშაბათს, საღამოს, მოეხდინათ ქალების მანიფესტაცია, რომელსაც პოლიციელთა კორდონი უნდა გაერღვია და გერენისთვის სურსათი მიეტანა. ამ მანიფესტაციის შესახებ განცხადებამ დიდძალი ბრბო მიიზიდა მონტოლონის სკვერის მიდამოებში, საცა თავი უნდა მოეყარათ მანიფესტაციის წევრთ. პოლიციამ მიიღო საგანგებო ღონისძიებანი. 8 საათი 30 წ. შუა ბაზრის 2000 მოვაჭრეთაგან ათიოდე ქალი, რომელთაც 50 ანტისემიტი მიჰყვებოდა, პოლიციის კორდონს მიადგა შაბროლის ქუჩაზედ, მაგრამ ვერ გაარღვიეს ის და უკან დახეულ იქმნენ პოლიციელების მიერ. მანიფესტაციის წევრნი დაიფანტნენ ლაფაიეტის ქუჩის სახაიოებში, საცა იმათ ეწვია გრაფის ქალი მარტელი, „Libre párole“-ს თანამშრომელი. იმავ დროს ანარხისტები შეიკრიბნენ შენის დარბაზში, სადაც დაადგინეს წინააღმდეგობა განვაცხადოთ სებასტიან ფორის დატუსაღების გამოვო.

გუშინ, ნაშუადღევს, გერენი ძლიერ აღელვებული იყო: ის სახურავზედ ავიდა, პოლიციას აგინებდა და პოლიციელებს აგურებს ესროდა. შესამჩნევი ინციდენტი არა მომხდარა-რა.

**რენნი.** სასამართლოს გუშინდელს სხდომაზედ ექსპერტმა გობერმა სთქვა, რომ ბორდეროს ხელი დრეიფუსის ხელი არ არისო. ნაწერებისა და ქაღალდის შედარება გვიჩვენებს, რომ ბორდერო ესტერგაზის დაწერილიაო. მტკიცდება, რომ დამცველები შემდეგ მოწმეების დაბარებას თხოულობენ: ფრეისინესა, ბრისონისა, პიკარი, ინსტიტუტის წევრის გავესი, ხატვის პროფესორის პარაფშევალისა, დოქტორის ბეილისა, რაბინის დრეიფუს-ფიშერისა და ბერტულიუსის მდივნის ანდრესი.

## „ივერიის“ ფოსტა.

**თ. ი. ვ. ს.—ერ—ს.** მაგ საგნის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა წერილი დაბეჭდილი, რომელშიაც საკმაოდ გამორკვეულია საქმე.

**ერთს მრევლთაგან.** არ დაიბეჭდება.

Simpicissimus. არ დაიბეჭდება. ეგ ცნობები თუ ჭეშმარიტებაა, ქუთაისის სამკურნალო ნაწილის უფროსს შეატყობინეთ.

**ძ—სი. ა. მ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**პ. გა—ელოვს.** სასამართლოს მიჰმართეთ, გაზეთში დაბეჭდვა მაგ წერილისა საქმეს არას არგებს.

**საჩინოელს სიმონს.** არ დაიბეჭდება.

**მთიელ-ბარელს.** გაკვეთილებს უბეჯითეთ. ლექსების წერას მაშინაც მოასწრებთ, როდესაც სწავლას შეიძენთ.

**ვ. ნარეკვაველს.** კიდევ ლექსები... უფალო, მოგვიტევენ ცოდვანი ჩვენნი!..

**ერ-წამაველს.** არ დაიბეჭდება.

**დ. ა. ს—ძი. ი. ს—ვას.** უცნაურია თქვენი ახირებული გულის წყრომა. წავიკითხეთ თქვენი წერილი ხელ-მეორედ და რედაქციამ ვერა სცნო მისი დაბეჭდვა მოსახერხებლად. მორჩა და გათავდა. ვგონებ ეს პასუხი კმარა, რომ თქვენის წერილის შესახებ ყოველი მიწერ-მოწერა მოისპოს.

**ს. გ—შენი. აპ. ახალთიზირელს.** „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“-ს წიგნის პირველი გამოცემა სრულიად გაიყიდა. ეხლა ხელმეორედ იბეჭდება და ამ ახლო ხანში გამოვა მეორე გამოცემა.

**ს. ა—რა.** Juvenis ს. არ დაიბეჭდება.

**ვ. რ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**გ. ნ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**სამხთოელს.** არ დაიბეჭდება.


# განცხადებანი

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება ქუთაისში—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—6.—17) ნ. წერეთელი

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევსკისა და მთის ქუჩაზედ, აფთიაქის ბირდაპირ.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანველიანცს, ტფილისს. (24—18)


# ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 აგვისტოსათვის 1899 წლისა.

**აქტივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) | | 3943 | 96 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | | 1750 | — |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | | 34110 | — |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი | | 3099 | 25 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი | | 3021 | 63 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს. უწერია ხელი | | 224118 | 08 |
| VII. პროტესტში წასული თამასუქები | | 500 | — |
| VIII. გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. | 7146—19 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. | 13009—20 | | |
| გ) საქონელზედ | 18189—50 | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. | 5560—15 | 43905 | 04 |
| IX. დასაბრუნებელი ხარჯი | | 174 | 62 |
| X. მოწყობა-მომართვა | | 1209 | 94 |
| XI. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | | 229 | 47 |
| XII. სხვა-და-სხვა დებიტორები | | 288 | 27 |
| XIII. გარდასაცემი თანხა | | 339 | 21 |
| XIV. მიმდინარე ხარჯი | | 6423 | 01 |
| ს უ ლ | | 323112 | 48 |

**პასსივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 748 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | | 78081 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს) | | 3141 | 16 |
| III. სარგებელი სათადარიგო თანხის კუთვნილ. ფასიან ქაღალდებისა | | 16 | 16 |
| IV. შემოტანილი ფული: | | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით | 81898—29 | | |
| ბ) ვადით | 143630—— | | |
| გ) უვადოდ | 250—— | 225778 | 29 |
| V. გარდასაცემი თანხა | | 1990 | 66 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი | | 1754 | 80 |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | | — | 02 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად | | 300 | — |
| IX. მიღებული სარგებელი | | 9913 | 19 |
| X. 1898 წ. წაუღებელი დივიდენდი | | 2096 | 49 |
| XI. 1898 წლის წმინდა მოგების გაუნაწილებელი ნაშთი | | 40 | 71 |
| ს უ ლ | | 323112 | 48 |
| პასუხის-მგებლობა 748 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | | 702729 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | | 2400 | — |
| თამასუქები საკომისიოდ | | 818 | 40 |

(1—6.—1)

**საზოგადოება იხდის:** მიმდინარე ანგარიშზედ შემოტანილ ფულისას 3%, უვადოდ შემოტანილისას—2%, 6 თვის ვადით შემოტანილისას—4%, წლისა და მეტის ვადით—5½%; **ახდევინებს:** თამასუქის განაღდებით ექვსი თვის ვადამდე გაცემულ ფულისას—9½%, ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხვათა განაღდებით გაცემულ ფულისას—6%, სესხით გაცემულისას: ა) %-იან ქაღალდზედ 6%. ბ) საქონელსა და სასოფლო ნაწარმოებზედ—9%, თუ საგანგებო მიმდინარე ანგარიშით არის გატანილი და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილის ქაღალდების გირაოზედ—7%, არა-უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირაოზედ—7½%, თამასუქების გირაოზედ—9½%-ს

Дозволено цензурою, Тифлисъ 14 го Августа 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე,